დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23.04.2024

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: გიორგი

გვარი: თავაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფილოსოფია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	----
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ფილოსოფია და ეთიკა - 0223
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	სასწავლო კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 39940, 17/01/2023

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31/12/2022
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	31/12/2023
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2029

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარებისშესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია, „ფილოსოფიის“ საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს უახლოეს მიღწევებს დარგში;

2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და ლექტორებმა სასწავლო კურსებში განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით;

3. იმისათვის, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები (ასევე, უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა: სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები და ა.შ.) და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც;

4. სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“;

5. მეტი ყურადღება დაეთმოს ძირითად ლიტერატურაში ორიგინალური ნაშრომების შეტანას;

6. განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“ .

7. სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა;

8. სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით;

9. სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, თემა - „სიცოცხლის ფილოსოფია“ ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით. თავად კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე ტენდენციებთან;

10. სასწავლო კურსში „ეთიკა“, თემები - „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით;

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

11. სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები - „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას;

12. დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება;

13. დაწესებულება უნდა გააქტიურდეს დასაქმების კუთხით, რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

14. განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით;

15. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა იყო 2023 წლის 31 დეკემბერი. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიში წარმოდგენილი იქნა 2024 წლის 22 იანვარს. რეკომენდაციების შესწავლისა და მათი განხორციელებისთვის დაწესებულებამ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ:

1. ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

2. მირიან ებანოიძე - საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ ხელმძღვანელი, პროფესორი;

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

3. მანანა ბანძელაძე - ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. მანანა ჩიტეიშვილი - ასოცირებული პროფესორი.

სამუშაო ჯგუფი პერიოდულად მართავდა შეხვედრებს განხორციელებული სამუშაოს მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული სამუშაოს საფუძველზე მომზადდა ანგარიში, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა. ანგარიშში აღწერილია გაცემული რეკომენდაციების განხორციელება და წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები თანდართული დოკუმენტაციის სახით. ქვემოთ მოცემულია შეფასება გაცემული რეკომენდაციების განხორციელებასთან მიმართებით:

I რეკომენდაციასთან დაკავშირებით: რეკომენდირებულია, „ფილოსოფიის“ საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს უახლოეს მიღწევებს დარგში.

შეფასება: აღნიშნული რეკომენდაცია, რომელიც ორიენტირებულია სტანდარტის 1.2 კომპონენტზე („სწავლის შედეგები“), კავშირშია ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტანდარტის 1.5 კომპონენტთან („სასწავლო კურსი/საგანი“) მიმართებით გაცემულ V-XI რეკომენდაციებთან (იხ. ქვემოთ). დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში (გვ. 6-7) აღნიშნულია, რომ განხორციელდა „გარკვეული ცვლილებები სასწავლო მასალებში“ და ამის მტკიცებულებად მოყვანილია ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით: „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, „ეთიკა“ და „ესთეტიკა“. აღნიშნულ კურსებთან მიმართებით კონკრეტული რეკომენდაციები იყო გაცემული (იხ. ქვემოთ რეკომენდაციები IX-XI) და ისინი შესრულებულია. თუმცა, აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები არ განახლებულა (იხ. ქვემოთ VI რეკომენდაცია).

II რეკომენდაციასთან დაკავშირებით: რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და ლექტორებმა სასწავლო კურსებში განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით.

შეფასება: იხ. I და VI რეკომენდაციის შეფასება.

III რეკომენდაციასთან დაკავშირებით: იმისათვის, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები (ასევე, უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა: სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები და ა.შ.) და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც.

შეფასება: იხ. I და VI რეკომენდაციის შეფასება.

IV რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“.

შეფასება: სასწავლო კურსი „რელიგიათმცოდნეობა“ გადატანილია არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში, თუმცა სასწავლო კურსი „ორატორული ხელოვნება“ კვლავ სავალდებულო საგნების ჩამონათვალშია. რაც შეეხება სასწავლო კურსს „პოლიტიკის ფილოსოფია“, ის დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს.

V რეკომენდაციასთან დაკავშირებით: მეტი ყურადღება დაეთმოს ძირითად ლიტერატურაში ორიგინალური ნაშრომების შეტანას.

შეფასება: იხ. I და VI რეკომენდაციის შეფასება.

VI რეკომენდაციასთან დაკავშირებით: განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“.

შეფასება: სასწავლო კურსებში „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი განახლებული არ არის, ხოლო სილაბუსები სასწავლო კურსისთვის „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“ არ იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ მოწოდებულ მასალებში. შესაბამისი განცხადების მიღების შემდეგ დაწესებულებამ აღნიშნული სილაბუსები წარმოადგინა. თუმცა, აღნიშნულ სილაბუსებშიც ლიტერატურა არაა განახლებული და ისინი ძველი ვერსიების იდენტურია.

VII რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა.

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში (გვ. 9) აღნიშნულია: „სასწავლო კურსში ,,აღმოსავლური ფილოსოფია“ დაკონკრეტდა თავები მითითებული ლიტერატურიდან თემაზე ,,დეკონსტრუქცია“, კერძოდ, მირიან ებანოიძის მონოგრაფიაში ,,დამხმარე სახელმძღვანელო“ (ესაა: ,,ჰაიდეგერი და აღმოსავლური აზროვნება“, „მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი“).“ თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში ეს ცვლილება ასახული არაა, კერძოდ, არაა შეცვლილი სავალდებულო ლიტერატურა, ხოლო თემაზე „დეკონსტრუქცია“ ლიტერატურად ისევ „დაო დე ძინია“ მითითებული (ისევე როგორც თემებზე: „ძველი სპარსული რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნება“, „პლატონისა და

არისტოტელეს გავლენა სპარსულ ფილოსოფიაზე“, „არაბული ფილოსოფია“, „ავეროესი, იბნ-სინა“ და სხვ.). შესაბამისად, აღნიშნულ სილაბუსში ლიტერატურა ისევ განახლებას საჭიროებს. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ნაშრომი: მ. ჭელიძე, რ. გორდეზიანი, „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია: ინდოეთი, ჩინეთი“, თბილისი, 2001, რომელიც 450 გვერდიანია და შესაბამისად, სასარგებლო იქნებოდა აღნიშნული კურსისთვის.

VIII რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით.

შეფასება: სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“ გაიწერა ახალი, ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემატიკასთან შესატყვისი თემები: „პოსტთანამედროვე ფილოსოფია“, „თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემები“. გარდა ამისა, შეიცვალა და უფრო რელევანტური გახდა თემატიკა, კერძოდ, სილაბუსში შესულია შემდეგი თემები: ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში, ჰუმანიზმი, სამყაროს ,,განჯადოება“, გაგება და ინტერპრეტაცია, მეტაფიზიკის დეკონსტრუქცია, სახელმწიფოს ფილოსოფია და სხვ.

IX რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, თემა - „სიცოცხლის ფილოსოფია“ ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით. თავად კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე ტენდენციებთან

შეფასება: აღნიშნული თემა, რომელიც არ იყო რელევანტური მოცემული კურსისთვის, სილაბუსში ჩანაცვლდა ახალი თემით „არსი და მოვლენა. ქმნადობის ფენომენი ანტიკურობიდან დღემდე“, ხოლო სავალდებულო ლიტერატურას დაემატა წყარო: 6. დელიოზი ჟ, გვატარი ფ, ,,რიზომა“ / წიგნიდან: ებანოიძე, მ, დამხმარე სახელმძღვანელო, ქუთაისი, 2017. გარდა ამისა, წყარო 10. Luke Houghton, Generalization and Systemic Epistemology: Why should it Make Sense? დამატებითი ლიტერატურიდან გადმოტანილი იქნა სავალდებულო ლიტერატურაში, თუმცა ის ისევ ფიქსირდება დამატებით ლიტერატურაში. შესაბამისად, თუკი სილაბუსის ავტორს სურს მისი გადატანა სავალდებულო ლიტერატურაში: ა). უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ სტუდენტები შეძლებენ მის ათვისებას ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით; ბ). აღნიშნული წყარო ამოღებული უნდა იქნეს დამატებითი ლიტერატურის სიიდან, რათა არ მოხდეს წყაროების გამეორება.

X რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსში „ეთიკა“, თემები - „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით.

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში აღნიშნული თემები შეცვლილია შემდეგი საკითხებით „თავისუფლების ეთიკური გაგება“ და „სიკეთისა და ბოროტების ცნება დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში“. ასევე, სავალდებულო ლიტერატურას დაემატა არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკა“, კრებული „ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან“, არტურ შოპენჰაუერის „ნების თავისუფლება და მორალის საფუძვლები“.

XI რეკომენდაციასთან დაკავშირებით: სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები - „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში აღნიშნული თემები ჩანაცვლებულია შემდეგი თემებით: „გენიოსის ცნება“, „რომანტიზმის ესთეტიკა“, „სიმბოლური, კლასიკური და რომანტიკული ხელოვნება ჰეგელთან“ და „ხელოვნების ქმნილება და ჭეშმარიტება.“ გარდა ამისა, შეცვლილია სხვა თემებიც, რომლებიც სილაბუსის ახალ ვერსიაში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: 3. „სიკეთისა და სილამაზის განსხვავება პლატონთან და არისტოტელესთან. ბაძვის თეორიები“ (ძველი თემა: „კარგისა და ლამაზის იდენტურობის პრობლემა ანტიკურობაში; ესთეტიკური ღირებულების არსი. კულტურის პრობლემა“); 4. „მშვენიერების თანაფარდობის პრობლემა“ (ძველი თემა: „სილამაზისა და მშვენიერების თანაფარდობის პრობლემა“); 5. „ესთეტიკური მსჯელობა კანტთან, როგორც მარეფლექტირებელი“ (ძველი თემა: „ესთეტიკური პრაქტიკა და ესთეტიკური საქმიანობა“; 16. „არაკლასიკური ესთეტიკა“ (ძველი თემა: „ხელოვნება და კულტურა; ხელოვნების თავისებურებათა პრობლემები; ხელოვნების დარგები“). სავალდებულო ლიტერატურას დაემატა შემდეგი წყაროები: არისტოტელე, „პოეტიკა“; თ. ადორნო, „ესთეტიკური თეორია“, ვ. რამიშვილი, „ფილოსოფია“, მ. ებანოიძე, „კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში“, პლატონი, „სახელმწიფო“; John Bender and Gene Blocker, *Contemporary Philosophy of Art* (უკანასკნელი წყაროს შემთხვევაში გასათვალისწინებელია კურსის შემსწავლელთა ენობრივი კომპეტენციები).

XII რეკომენდაციასთან დაკავშირებით: დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება.

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში შეცვლილია შეფასებითი კომპონენტების ხვედრითი წილი მათი სპეციფიკიდან გამომდინარე.

XIII რეკომენდაციასთან დაკავშირებით: დაწესებულება უნდა გააქტიურდეს დასაქმების კუთხით, რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის (22.01.2024, გვ. 11), ასევე, ამავე დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის ანგარიშის თანახმად (გვ. 3, 7), დაწესებულებამ გამართა შეხვედრები მთელ რიგ დამსაქმებლებთან (თუმცა, ანგარიშებში

მათი ორგანიზაციული ფორმა დაკონკრეტებული არაა). გარდა ამისა, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე იგეგმება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების დამსაქმებელთა კლუბის დაარსება.

XIV რეკომენდაციასთან დაკავშირებით: განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით.

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის (22.01.2024, გვ. 12), ასევე, ამავე დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის ანგარიშის თანახმად (გვ. 3), უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდს გაეგზავნა მოთხოვნა შესაბამისი ლიტერატურის შესაძენად (თუმცა, მოთხოვნის დოკუმენტი არაა წარმოდგენილი). გარდა ამისა, დაწესებულების ანგარიშში (გვ. 12) აღნიშნულია, რომ „უკვე შეძენილია გარკვეული რაოდენობა წიგნები“, თუმცა არ იყო მითითებული მათი ჩამონათვალი, რის გამოც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში მათი შემოწმება ვერ ხერხდებოდა. დაწესებულებას გაეგზავნა განაცხადი, რათა წარმოდგენილი ყოფილიყო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდისთვის გაგზავნილი მოთხოვნა ლიტერატურის შესაძენად ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის (ლიტერატურის მითითებით). დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც 2024 წლის 18 აპრილით თარიღდება. მოთხოვნილი 35 ნაშრომიდან 23.04.2024-ის მდგომარეობით დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში (https://atsu.library.ac.ge/eg/opac/home) ფიქსირდება 14 ნაშრომი.

XV რეკომენდაციასთან დაკავშირებით: რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში

შეფასება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის (22.01.2024, გვ. 12), ასევე, ამავე დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის ანგარიშის თანახმად (გვ. 3-6), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან (დართულია ფოტომასალა). აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის ეფექტურობის შეფასებას.

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია ინტერნაციონალიზაციის უფრო მეტად გაძლიერება (კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობა და ა.შ);
- სასურველია რომ გაზარდოს უცხო ენების კრედიტების მოცულობა თავისუფალ კომპონენტებში;
- სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კერძოდ, შებრუნებული საკლასო ოთახის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების და სხვა ჯგუფური მუშაობის წამახალისებელი მეთოდები;
- სასურველია საბაკალავრო პროგრამაში დამატებულ იქნას სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი;
- უსდ-მ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საერთაშორისო პროექტებში და მობილობაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით;
- უსდ-მ უნდა შექმნას უფრო მეტი ელექტორნული რესურსი სტუდენტებისთვის, უპირველეს ყოვლისა - სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული მასალების ელექტორნული ვერსიები;
- გარე, კოლეგიალური შეფასებების ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს სტანდარტული გარე შეფასების ფორმა, რომელიც ყველა გარე შემფასებელ კოლეგას საშუალებას მისცემს ერთნაირი კრიტერიუმებით განახორციელოს შეფასება;
- სასურველია ანალოგიური პროგრამების შედარებითმა ანალიზმა მოიცვას მოცემულ უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც;
- პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია უსდ-მ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზისას გამოიყენოს უცხოური უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკაც.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდირებულია, „ფილოსოფიის“ საბაკალავრო პროგრამა უფრო მეტად ითვალისწინებდეს უახლოეს მიღწევებს დარგში
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია, რომელიც ორიენტირებულია სტანდარტის 1.2 კომპონენტზე („სწავლის შედეგები“), კავშირშია ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტანდარტის 1.5 კომპონენტთან („სასწავლო კურსი/საგანი“) მიმართებით გაცემულ V-XI რეკომენდაციებთან (იხ. ქვემოთ). დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში (გვ. 6-7) აღნიშნულია, რომ განხორციელდა „გარკვეული ცვლილებები სასწავლო მასალებში“ და ამის მტკიცებულებად მოყვანილია ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით: „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, „ეთიკა“ და „ესთეტიკა“. აღნიშნულ კურსებთან მიმართებით კონკრეტული რეკომენდაციები იყო გაცემული (იხ. ქვემოთ რეკომენდაციები IX-XI) და ისინი შესრულებულია. თუმცა, აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები არ განახლებულა (იხ. ქვემოთ VI რეკომენდაცია).
რჩევა[15]	

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, „ეთიკა“ და „ესთეტიკა“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II	რეკომენდირებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და ლექტორებმა სასწავლო კურსებში განაახლონ სასწავლო მასალა ახალი თარგმანების და ლიტერატურის გათვალისწინებით
შეფასება	იხ. I და VI რეკომენდაციის შეფასება.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია III	იმისათვის, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს ორიგინალი ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები) განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში უნდა იყოს შეტანილი პირველწყაროები (ასევე, უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა: სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები და ა.შ.) და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც.
შეფასება	იხ. I და VI რეკომენდაციის შეფასება.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV	სასწავლო კურსები „რელიგიათმცოდნეობა“ და „ორატორული ხელოვნება“ გადატანილი იქნეს არჩევით საგნებში; სოციალურ და პოლიტიკურ

	ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური განათლების მისაღებად სავალდებულო საგნებს დაემატოს სასწავლო კურსი „პოლიტიკური ფილოსოფია“
შეფასება	სასწავლო კურსი „რელიგიათმცოდნეობა“ გადატანილია არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში, თუმცა სასწავლო კურსი „ორატორული ხელოვნება“ კვლავ სავალდებულო საგნების ჩამონათვალშია. რაც შეეხება სასწავლო კურსს „პოლიტიკის ფილოსოფია“, ის დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო გეგმა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია V	მეტი ყურადღება დაეთმოს ძირითად ლიტერატურაში ორიგინალური ნაშრომების შეტანას
შეფასება	იხ. I და VI რეკომენდაციის შეფასება.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VI	განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“,„ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“.
შეფასება	სასწავლო კურსებში „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“ სავალდებულო ლიტერატურის

	ჩამონათვალი განახლებული არ არის, ხოლო სილაბუსები სასწავლო კურსისთვის „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“, „ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“ არ იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ მოწოდებულ მასალებში. შესაბამისი განცხადების მიღების შემდეგ დაწესებულებამ აღნიშნული სილაბუსები წარმოადგინა. თუმცა, აღნიშნულ სილაბუსებშიც ლიტერატურა არაა განახლებული და ისინი ძველი ვერსიების იდენტურია.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსების სილაბუსები: „აღმოსავლური ფილოსოფია“, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“, „ახალი დროის ფილოსოფია“, „სოციალური ფილოსოფია“, „სიცოცხლის ფილოსოფია“, „XX საუკუნის ფილოსოფია“, „ნეოპლატონიზმი“,„ცნობიერების ფილოსოფიური თეორია“.

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VII	სასწავლო კურსში „აღმოსავლური ფილოსოფია“ თემაში „დეკონსტრუქცია“ გაიწეროს სათანადო ლიტერატურა
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: „სასწავლო კურსში ,,აღმოსავლური ფილოსოფია“ დაკონკრეტდა თავები მითითებული ლიტერატურიდან თემაზე ,,დეკონსტრუქცია“ , კერძოდ, მირიან ებანოიძის მონოგრაფიაში ,,დამხმარე სახელმძღვანელო“(ესაა: ,,ჰაიდეგერი და აღმოსავლური აზროვნება“, „მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი“).“ თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში ეს ცვლილება ასახული არაა, კერძოდ, არაა შეცვლილი სავალდებულო ლიტერატურა, ხოლო თემაზე „დეკონსტრუქცია“ ლიტერატურად ისევ „დაო დე ძინია“ მითითებული (ისევე როგორც თემებზე: „ძველი სპარსული რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნება“, „პლატონისა და არისტოტელეს გავლენა სპარსულ ფილოსოფიაზე“, „არაბული ფილოსოფია“, „ავეროესი, იბნ-სინა“ და სხვ.). შესაბამისად, აღნიშნულ სილაბუსში ლიტერატურა ისევ განახლებას საჭიროებს.

	ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ნაშრომი: მ. ჭელიძე, რ. გორდეზიანი, „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია: ინდოეთი, ჩინეთი“, თბილისი, 2001, რომელიც 450 გვერდიანია და შესაბამისად, სასარგებლო იქნებოდა აღნიშნული კურსისთვის.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსის „აღმოსავლური ფილოსოფია“ სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VIII	სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“, თემები „ფილოსოფიური თეორიები: მატერიალიზმი და იდეალიზმი“, „ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი“, „გულუბრყვილო–სტიქიური მატერიალიზმი“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული თემებით.
შეფასება	სასწავლო კურსში „შესავალი ფილოსოფიაში“ გაიწერა ახალი, ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემატიკასთან შესატყვისი თემები: „პოსტთანამედროვე ფილოსოფია“, „თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემები“. გარდა ამისა, შეიცვალა და უფრო რელევანტური გახდა თემატიკა, კერძოდ, სილაბუსში შესულია შემდეგი თემები: ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში, ჰუმანიზმი, სამყაროს ,,განჯადოება“, გაგება და ინტერპრეტაცია, მეტაფიზიკის დეკონსტრუქცია, სახელმწიფოს ფილოსოფია და სხვ.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსის „შესავალი ფილოსოფიაში“ სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IX	სასწავლო კურსში „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“, თემა - „სიცოცხლის ფილოსოფია“ ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით. თავად კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე

	ტენდენციებთან.
შეფასება	აღნიშნული თემა, რომელიც არ იყო რელევანტური მოცემული კურსისთვის, სილაბუსში ჩანაცვლდა ახალი თემით „არსი და მოვლენა. ქმნადობის ფენომენი ანტიკურობიდან დღემდე“, ხოლო სავალდებულო ლიტერატურას დაემატა წყარო: 6. დელიოზი ჟ, გვატარი ფ, ,,რიზომა“ / წიგნიდან: ებანოიძე, მ, დამხმარე სახელმძღვანელო, ქუთაისი, 2017. გარდა ამისა, წყარო 10. Luke Houghton, Generalization and Systemic Epistemology: Why should it Make Sense? დამატებითი ლიტერატურიდან გადმოტანილი იქნა სავალდებულო ლიტერატურაში, თუმცა ის ისევ ფიქსირდება დამატებით ლიტერატურაში. შესაბამისად, თუკი სილაბუსის ავტორს სურს მისი გადატანა სავალდებულო ლიტერატურაში: ა). უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ სტუდენტები შეძლებენ მის ათვისებას ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით; ბ). აღნიშნული წყარო ამოღებული უნდა იქნეს დამატებითი ლიტერატურის სიიდან, რათა არ მოხდეს წყაროების გამეორება.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსის სილაბუსი „ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია X	სასწავლო კურსში „ეთიკა“, თემები - „მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება; კლასობრივი ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება“; „ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები“ ჩანაცვლდეს თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში აღნიშნული თემები შეცვლილია შემდეგი საკითხებით „თავისუფლების ეთიკური გაგება“ და „სიკეთისა და ბოროტების ცნება დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში“. ასევე, სავალდებულო ლიტერატურას დაემატა არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკა“, კრებული „ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან“, არტურ შოპენჰაუერის „ნების თავისუფლება და მორალის საფუძვლები“.
რჩევა	

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსის სილაბუსი „ეთიკა“.

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია XI	სასწავლო კურსიდან „ესთეტიკა“, თემები - „ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში; ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები“; „ქართული ნეოპლატონისტური ესთეტიკის საკითხები“; „სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში“ და „რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში; რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი“ გადატანილი იქნეს სასწავლო კურსში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ან ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდეს ერთ თემამდე და დანარჩენი თემები დაეთმოს თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემების განხილვას
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში აღნიშნული თემები ჩანაცვლებულია შემდეგი თემებით: „გენიოსის ცნება“, „რომანტიზმის ესთეტიკა“, „სიმბოლური, კლასიკური და რომანტიკული ხელოვნება ჰეგელთან“ და „ხელოვნების ქმნილება და ჭეშმარიტება.“ გარდა ამისა, შეცვლილია სხვა თემებიც, რომლებიც სილაბუსის ახალ ვერსიაში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: 3. „სიკეთისა და სილამაზის განსხვავება პლატონთან და არისტოტელესთან. ბაძვის თეორიები“ (ძველი თემა: „კარგისა და ლამაზის იდენტურობის პრობლემა ანტიკურობაში; ესთეტიკური ღირებულების არსი. კულტურის პრობლემა“); 4. „მშვენიერების თანაფარდობის პრობლემა“ (ძველი თემა: „სილამაზისა და მშვენიერების თანაფარდობის პრობლემა“); 5. „ესთეტიკური მსჯელობა კანტთან, როგორც მარეფლექტირებელი“ (ძველი თემა: „ესთეტიკური პრაქტიკა და ესთეტიკური საქმიანობა“; 16. „არაკლასიკური ესთეტიკა“ (ძველი თემა: „ხელოვნება და კულტურა; ხელოვნების თავისებურებათა პრობლემები; ხელოვნების დარგები“). სავალდებულო ლიტერატურას დაემატა შემდეგი წყაროები: არისტოტელე, „პოეტიკა“; თ. ადორნო, „ესთეტიკური თეორია“, ვ. რამიშვილი, „ფილოსოფია“, მ. ებანოიძე, „კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში“,

	პლატონი, „სახელმწიფო“; John Bender and Gene Blocker, *Contemporary Philosophy of Art* (უკანასკნელი წყაროს შემთხვევაში გასათვალისწინებელია კურსის შემსწავლელთა ენობრივი კომპეტენციები).
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსის სილაბუსი „ესთეტიკა“.

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია XII	დაიხვეწოს შეფასებითი კომპონენტებისათვის ხვედრითი წილის მინიჭების წესი, რათა გამოირიცხოს სხვადასხვა სირთულის კომპონენტებისთვის (მაგალითად, დისკუსია და პრეზენტაცია) ერთნაირი ხვედრითი წილის მინიჭება
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში შეცვლილია შეფასებითი კომპონენტების ხვედრითი წილი მათი სპეციფიკიდან გამომდინარე.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო კურსის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია XIII	დაწესებულება უნდა გააქტიურდეს დასაქმების კუთხით, რათა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის თანახმად (გვ. 3, 7), დაწესებულებამ გამართა შეხვედრები მთელ რიგ დამსაქმებლებთან (თუმცა, ანგარიშში მათი ორგანიზაციული ფორმა დაკონკრეტებული არაა). გარდა ამისა, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე იგეგმება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების დამსაქმებელთა კლუბის დაარსება.
რჩევა	
შეფასება	

მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში - ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია XIV	განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული დარგობრივი ლიტერატურით
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის (22.01.2024, გვ. 12), ასევე, ამავე დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის ანგარიშის თანახმად (გვ. 3), უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდს გაეგზავნა მოთხოვნა შესაბამისი ლიტერატურის შესაძენად (თუმცა, მოთხოვნის დოკუმენტი არაა წარმოდგენილი). გარდა ამისა, დაწესებულების ანგარიშში (გვ. 12) აღნიშნულია, რომ „უკვე შეძენილია გარკვეული რაოდენობა წიგნები“, თუმცა არ იყო მითითებული მათი ჩამონათვალი, რის გამოც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში მათი შემოწმება ვერ ხერხდებოდა. დაწესებულებას გაეგზავნა განაცხადი, რათა წარმოდგენილი ყოფილიყო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდისთვის გაგზავნილი მოთხოვნა ლიტერატურის შესაძენად და ფილოსოფიის საბაკალავრო და MA პროგრამებისთვის (ლიტერატურის მითითებით). დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც 2024 წლის 18 აპრილით თარიღდება. მოთხოვნილი 35 ნაშრომიდან 23.04.2024-ის მდგომარეობით დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში (https://atsu.library.ac.ge/eg/opac/home) ფიქსირდება 14 ნაშრომი.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში - ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობა
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება

რეკომენდაცია XV	რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის განმახორციელებელ თითოეულ პერსონალს უწყვეტად გაუზიაროს როგორც თავიანთი ინდივიდუალური შეფასებები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოყენებული შეფასების შედეგების შესახებ ერთიანი ანგარიში
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის (22.01.2024, გვ. 12), ასევე, ამავე დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის თანახმად (გვ. 3-6), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა შეხვედრები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან (დართულია ფოტომასალა). აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის ეფექტურობის შეფასებას.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში

თანდართული დოკუმენტაცია[16]

1. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში - ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა , 12 გვ.;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ასოც. პროფ. ინგა ბარამიძის ანგარიში, 7 გვ.;
3. საბაკალავრო პროგრამის „ფილოსოფია“ სასწავლო გეგმა, 6 გვ.;
4. სასწავლო კურსების სილაბუსები.

ექსპერტის ხელმოწერა

[16]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა